ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 255

"17" ივლისი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ჩაჩავას ქ. №2,4,6,8,10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 62-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 16 აპრილის №16 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 8 იულისის №04/12705 წერილის (AR1299454) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, ჩაჩავას ქ. №2,4,6,8,10-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1299454 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაეკალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება ერთი თვის ვადაში შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეიანი, მე-12 კმ. №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

ქ. თბილისში, დიღომი, ჩაჩავას ქ. №2,4,6,8,10
განაშენიანების რეგულირების გეგმა



2. ზონების ტერიტორიებზე განაშენიანების ფართისა და განაშენიანების ინტენსიურობის მაჩვენებლები

2.1. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1

ბლოკი "ა"		
განაშენიანების ფართი	842 მ²	კ-1=0,3
ტერიტორიის ფართი	2801 მ²	
ბლოკი "ბ"		
განაშენიანების ფართი	848 მ²	კ-1=0,3
ტერიტორიის ფართი	2595 მ²	
ბლოკი "გ"		
განაშენიანების ფართი	585 მ²	კ-1=0,2
ტერიტორიის ფართი	2563 მ²	
ბლოკი "დ"		
განაშენიანების ფართი	848 მ²	კ-1=0,3
ტერიტორიის ფართი	2568 მ²	

საშუალო კ-1 მთელი საპროექტო ტერიტორიისათვის =0,3 (3 123 (განაშენიანების ფართი) :10 527 (ტერიტორიის ფართი)

2.2 განაშენიანების ინტენსიურობის კოეფიციენტი კ-2

ბლოკი "ა"		
ფართი გარე კონტურში*	8963 მ2	კ-2=3,2
ტერიტორიის ფართი	2801 მ2	
ბლოკი "ბ"		
ფართი გარე კონტურში*	8306 მ2	კ-2=3,2
ტერიტორიის ფართი	2595 მ2	
ბლოკი "გ"		
ფართი გარე კონტურში*	8201 მ2	კ-2=3,2
ტერიტორიის ფართი	2563 მ2	
ბლოკი "დ"		
ფართი გარე კონტურში*	8216 მ2	კ-2=3,2
ტერიტორიის ფართი	2568 მ2	

საშუალო კ-2 მთელი საპროექტო ტერიტორიისათვის =3,2 (33 686 (ფართი გარე კონტურში) :10 527 (ტერიტორიის ფართი)

შენიშვნები:

1. ნახაზზე განცალკევებით ნაჩვენები საპროექტო ტერიტორიის საზღვარი და წითელი ხაზები რეალურად ფარავს ერთმანეთს და ემთხვევა ტერიტორიის საკადასტრო საზღვარს.

2. *ფართი გარე კონტურში მიღებულია კიბის უჯრედებისა და ლიფტების ჰოლების ფართის გარეშე (საანგარიშო 10%-ი).

3. განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი წყობის სახეობა

განაშენიანების რეგულირების გეგმით, საპროექტო ტერიტორიისათვის დადგენილია "დახურული"- კვარტალური ტიპის სივრცით გეგმარებითი წყობის სახეობა.

4. გამწვანების ფართი – გამწვანების კოეფიციენტი

საპროექტო ტერიტორიაზე გამწვანების ფართი აკმაყოფილებს ნორმატულ მოთხოვნებს. გამწვანების კოეფიციენტი კ-3= 0,3

5. ავტომანქანების სადგომი ადგილების რაოდენობა

6.1. განაშენიანების რეგულირების გეგმით საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მიწისზედა (ქუდოიანისა, სიგურამოსა და დიდუბის ქუჩებზე)- 100 ავტოსადგომი და მიწისქვეშა (490-500 ა/ს) ავტოსადგომების მოწყობა.

შეთანხმებულია
სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსი

ნ. ღოღობერიძე

- ეზოები
- გამწვანება
- P ავტოსადგომები
- ლურჯი ხაზები
- ლურჯი ხაზები მიწის ნიშნულის ზემოთ
- წითელი ხაზები
- განაშენიანების საზღვარი
- განაშენიანების საზღვარი მიწის ნიშნულის ზემოთ
- სეტტორის საზღვარი
- საპროექტო ტერიტორიის საზღვრები
- განაშენიანების ფართი
- შენობის კუთვნილი ფართობი მიმდებარე ტერიტორიაზე
- შენობის მიკუთვნებული ნოოფატული (ფატტური) ფართობი

1	2
3	4
5	6

1. ზონის სახეობა (სხ-4 მაღალი ინტენსიურობის საცხოვრებელი ზონა, შზ- შერეული ზონა, სსზ- საზოგადოებრივ საქმიანი ზონა)
2. სართულიანობა ან სიმაღლე
3. განაშენიანების კოეფიციენტი კ-1
4. ინტენსიურობის კოეფიციენტი კ-2
5. გამწვანების კოეფიციენტი კ-3
6. სახურავის ტიპი (ქანობიანი, ბრტყელი)


Kura
Zelenstroi
Zelenstroi
Zelenstroi